1965/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 13 (282) 15 მაისი 1965 წელი

13

585/3

474

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

226. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კამბოჯაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან კ. ა. კრუტიკოვის განთავისუფლების შესახებ.

227. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კამბოჯაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. პ. რატანოვის დანიშვნის შესახებ.

228. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 9 მაისის არასამუშაო დღედ გამოცხადების შესახებ.

229. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულების I მუხლის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

230. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ნ. ა. მიხაილოვის განთავისუფლების შესახებ.

231. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. დ. სიტენკოს დანიშვნის შესახებ.

232. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვ. ვ. კროტოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

233. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „მებადურის დღის“ ყოველწლიური დღესასწაულის დაწესების შესახებ.

განყოფილება მეორე

234. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შორეული აღმოსავლეთის აუზის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს დიდი გამყინავი თევზსაჭერი ტრაულერის „ნიკოლოზ ოსტროვსკის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

235. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ი. პ. ბაკანოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
236. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მაიორ ვ. ტ. შკურატის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
237. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. კ. მიშკეს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
238. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლ. მ. ლავროვსკისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
239. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყირგიზეთის სსრ სახალხო მხატვრის ლ. ა. ილინას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიკოიანს რწმუნების სიგელები გადასცა მექსიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ხოსე ე. იტურიაგამ.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საინფორმაციო ცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმების შესახებ სასაზღვრო წყლების წყალთა მეურნეობაზე.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

240. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე, 273-ე და 275-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
241. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, დასახლებული პუნქტების, ქუჩების, საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების და ორგანიზაციებისათვის სახელწოდების მიკუთვნების და შეცვლის წესის შესახებ.
242. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხაშურის და სამტრედიის რაიონებში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
243. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის მუშაობის შესახებ.

განყოფილება მეორე

244. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
245. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ შ. მ. პირველისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
246. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ტ. ლილუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

247. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. გ. ჩოჩიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

248. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. რ. ფანცხავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

249. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

250. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ს. დალაქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

251. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ლ. ი. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

252. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დრამატურგ ვ. ბ. პატარაიასათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

253. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ლ. პ. ფალიაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

254. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ს. თედეევისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

255. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ი. გურევიჩისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

256. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ დ. გ. მამამთავრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

257. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. გ. ნუცუბიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

226 კამბოჯაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან კ. ა. კრუტიკოვის განთავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს კონსტანტინე ალექსანდრეს ძე **კრუტიკოვი** კამბოჯაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 აპრილი.
№ 3467-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

227 კამბოჯაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. პ. რატანოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ანატოლ პეტრეს ძე **რატანოვი** კამბოჯაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 აპრილი.
№ 3468-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

228 9 მაისის არასამუშაო დღედ გამოცხადების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღესასწაული — 9 მაისი მომავალში გამოცხადდეს არასამუშაო დღედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 26 აპრილი.
№ 3478-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

229 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულების I მუხლის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„9 მაისის არასამუშაო დღედ გამოცხადების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 26 აპრილის ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

9 მაისის სამუშაო დღედ გამოცხადების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულების I მუხლი (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წ., № 5) ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 26 აპრილი.
№ 3479-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

230 ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ნ. ა. მიხაილოვის განთავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **მიხაილოვი** ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 24 აპრილი.
№ 3501-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

231 ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. დ. სიტენკოს დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მიხეილ დიმიტრის ძე **სიტენკო** ინდონეზიის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 24 აპრილი.
№ 3502-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

232 სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვ. ვ. კროტოვის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვიქტორ ვასილის ძე **კროტოვი** სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 27 აპრილი.
№ 3509-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

233 „მეგადურის დღის“ ყოველწლიური დღესასწაულის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაწესდეს დღესასწაული „მეგადურის დღე“.

„მეგადურის დღე“ აღინიშნოს ყოველწლიურად ივლისის მეორე კვირას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 3 მაისი.
№ 3519-VI.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

234 შორეული აღმოსავლეთის აუზის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს დიდი გამყინავი თევზსაჭერი ტრაულერის „ნიკოლოზ ოსტროვსკის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

იმისათვის, რომ 1964 წელს დიდძალი თევზი დაიჭირა — 150 ათასი ცენტნერი და გამოუშვა 74 ათასი ცენტნერი ახლად გაყინული თევზის საკვები პროდუქცია, შორეული აღმოსავლეთის აუზის თევზის მრეწველობის მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველოს **დიდი გამყინავი თევზსაჭერი ტრაულერი „ნიკოლოზ ოსტროვსკი“** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 24 აპრილი.
№ 3506-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

235 არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ი. პ. ბაჟანოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკი იური პავლეს ძე **ბაჟანოვი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 29 აპრილი.
№ 3515-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

236 მაიორ ვ. ტ. შკურატის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საფრენოსნო დავალების შესრულების დროს რთულ ვითარებაში გამოჩენილი მამაცობის, გამბედაობისა და მაღალი საფრენოსნო ოსტატობისათვის მაიორი ვიქტორ ტიმოთეს ძე **შკურატი** დაჯილდოვდეს **წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 აპრილი.
№ 3517-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

237 ამხ. ვ. კ. მიშკეს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, სამეცნიერო საქმიანობაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით სკკპ წევრი 1911 წლიდან, პროფესორი ვლადიმერ კარლის ძე **ბეზი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 30 აპრილი.
№ 3518-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

238 ლ. მ. ლავროვსკისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება ლეონიდ მიხეილის ძე **ლავროვსკის** — სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 3 მაისი.
№ 3520-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

239 ყირგიზეთის სსრ სახალხო მხატვრის ლ. ა. ილინას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ყირგიზეთის სსრ სახალხო მხატვარი ლიდია ალექსანდრეს ასული **ილინა** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 3 მაისი.
№ 3521-VI.

განკოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა ურჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუმს მოახდინოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაცია. ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღო კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ, რომელიც გაიმართა 14 აპრილს კრემლის დიდ სასახლეში.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მათმა თავმჯდომარეებმა — დეპუტატმა მ. ა. სუსლოვმა და დეპუტატმა ბ. ნ. პონომარიოვმა, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ.

დეპუტატ ბ. ნ. პონომარიოვის თავმჯდომარეობით კომისიის წევრებმა განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება 1965 წლის 8 აპრილს ვარშავაში ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კომისიებს გადასცა დასკვნისათვის.

საბჭოთა მთავრობის დავალებით სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა.

მან გახაცხადა, რომ ვარშავაში ხელმოწერილი ხელშეკრულება გაგრძელებაა მეგობრობის, ურთიერთდახმარების და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულებისა, რომელიც 20 წლის წინათ შევკარით და რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა სსრ კავშირის და პოლონეთის მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში.

ხელშეკრულება, ამბობს შემდეგ ვ. ვ. კუზნეცოვი, ადასტურებს ორი მეზობელი სოციალისტური ქვეყნის ძმური დამოკიდებულების ხასიათს, მთლიანად შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს და იწყებს ახალ მნიშვნელოვან ეტაპს ორივე სახელმწიფოს მეგობრული დამოკიდებულების განვითარებაში. ის მოწოდებულია ხელი შეუწყოს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაერთიანებული სოციალისტური სახელმწიფოების თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას და მნიშვნელოვანი სტიმული იქნება სოციალისტური სახელმწიფოების მრავალმხრივი ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებისათვის ეკონომიური ურთერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულება, აღნიშნა ორატორმა, თავისი მნიშვნელობით ბევრად სცილდება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ინტერესების ფარგლებს. მას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან წარმოადგენს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების აქტს ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

ხელშეკრულება მძლავრ ზღუდეს უქმნის დასავლეთ გერმანიის რევანშისტების აგრესიულ გამოხდომებს და ტერიტორიულ პრეტენზიებს. მასში ხაზგასმულია, რომ ევროპის უშიშროების ერთ-ერთ ძთავარ ფაქტორს წარმოადგენს ოდერ-ნეისეს გასწვრივ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა. ის ორივე ქვეყნის ხალხთა მშვიდობიანი შრომისა და უშიშროების საიმედო ფარი იქნება. ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა წინანდებურად გააერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანებენ თავიანთ ძალებს საერთაშორისო ასპარეზზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, კოლონიალიზმის საბოლოო მოსპობის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

დეპუტატმა გ. ი. პოპოვმა, სკკპ ლენინგრადის ქალაქკომის პირველმა მდივანმა, მხარი დაუჭირა ხელშეკრულების რატიფიკაციას. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დამოკიდებულებამ გასული 20 წლის მანძილზე მიიღო უაღრესად ფართო ხასიათი. იგი მოიცავს თითქმის უკლებლივ ორივე ქვეყნის საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგს. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ახალი ხელშეკრულება ითვალისწინებს მხარეების ვალდებულებებს, რომ შემდგომ გააფართოონ თანამშრომლობა საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში და უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად. გ. ი. პოპოვმა გამოთქვა რწმენა, რომ ახალი ხელშეკრულება, ისევე როგორც წინა ხელშეკრულება, ერთგულ სამსახურს გაუწევს ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატი ი. ს. გრუშეცკი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ახალი ხელშეკრულების ხელმოწერა, ამბობს ის, არის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი. ის მოასწავებს ახალ მნიშვნელოვან ეტაპს ორივე ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში. ახალი ხელშეკრულების შესაბამისად საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა შემდგომშიაც განავითარებენ ეკონომიურ და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას როგორც ორმხრივ საფუძველზე, ისევე მრავალმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში. ი. ს. გრუშეცკი აღნიშნავს, რომ პოლონეთსა და უკრაინას შორის ყოველწლიურად ფართოვდება და მტკიცდება მეგობრული ეკონომიური, სამეცნიერო და კულტურული კავშირურთიერთობა. ეჭვს გარეშეა, რომ ახალი ხელშეკრულება დაგვეხმარება კიდევ უფრო წარმატებით განვახორციელოთ ეს თანამშრომლობა. სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, რომელიც სულ უფრო ვითარდება, ხელს შეუწყობს მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის მარშალმა დეპუტატმა ა. ა. გრეჩკომ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა, როცა 20 წელი გავიდა ჰიტლერელ დამპყრობთა განადგურების შემდეგ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ისევ იქმნება აგრესიისა და ომის სახიფათო კერა. ბონის რევანშისტები აშკარად და თავგამოდებით მიიწევენ ატომური იარაღისაკენ, მოურიდებლად აყენებენ ტერიტორიულ პრეტენზიებს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოდერ-ნეისეს და ბალტიის ზღვის გასწვრივ სახალხო პოლონეთის საზღვრების ხელშეუხებლობის საიმედო გარანტიას, რაც განმტკიცებულია ახალი ხელშეკრულებით და იმავე დროს წარმოადგენს ევროპის უშიშროების განმტკიცების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. დადებულ ხელშეკრულებას თავდაცვითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიათი აქვსო, თქვა ა. ა. გრეჩკომ. ჩვენ არავის არ ვემუქრებით და [illegible]-ვ[illegible]-რებთ არავისზე თავდასხმას. მაგრამ თუ აგრესორი გაბედავს ჩვენი ქვეყნების თავისუფლების და დამოუკიდებლობის ხელყოფას, ის თვითონ იგრძნობს ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლიერებას.

დეპუტატმა ვ. ფ. მიცკევიჩმა, ბელორუსიის კომუნისტური პარტიის გროდნოს ოლქკომის პირველმა მდივანმა, თქვა, რომ მეგობრობის ახალ ხელშეკრულებას, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ორივე ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. საბჭოთა კავშირის, კერძოდ, ბელორუსიის და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელების მეგობრობას, ამბობს ვ. ფ. მიცკევიჩი, ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. განსაკუთრებული ძლიერებით მან თავი იჩინა მეორე მსოფლიო ომის მძიმე წლებში. ხელშეკრულება, რომელსაც ჩვენ ახლა განვიხილავთ, სამსახურს გაუწევს მთელი სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, იქნება სახალხო პოლონეთის და ყველა იმ სხვა სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუხებლობის საიმედო გარანტია, რომელთათვისაც ძვირფასია ევროპაში მყარი მშვიდობის საქმე.

საბჭოთა საზოგადოებამ დიდი კმაყოფილებით მიიღო საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ახალი ხელშეკრულების ხელმოწერა, განაცხადა თავის გამოსვლაში დეპუტატმა ა. ი. სნეჩკუსმა, ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებასთან ერთად მოისპო ეროვნული შუღლი პოლონეთის და ლიტვის ხალხებს შორის, რასაც წინათ ბურჟუაზიული პოლონეთის და ლიტვის მმართველი კლასები აღვივებდნენ. მან თქვა, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ახალი ხელშეკრულება კარგ სამსახურს გაუწევს საბჭოთა და პოლონეთის ხალხების ინტერესებს. დღეს ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ წარმოიქმნება ხოლმე დედამიწის ხან ერთ, ხან მეორე რაიონში ახალი ომის სახიფათო კერა, რომელთა გაღვივებასაც ცდილობენ აგრესიული ძალები. ომის ასეთი კერა მწიფდება ახლა ევროპის შუაგულშიც — დასავლეთ გერმანიაში, რომელიც ატომური იარაღისაკენ მიიწევს. სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებს განზრახული აქვთ მომავალშიც განაგრძონ მეცადინეობა საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით. საამისოდ საჭირო და კონკრეტული ღონისძიებები ნათლად არის გამოკვეთილი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ახალ ხელშეკრულებაში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, განაცხადა საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ი. ვ. აბაშიძემ. საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად გამოხატავს ღრმა კმაყოფილებას იმით, რომ ხელშეკრულებას ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ევროპის უშიშროების და მშვიდობის განმტკიცების საქმეში, ახალ საფეხურზე აყავს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ჭეშმარიტად ძმური დამოკიდებულება, ხელს უწყობს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურული და სამეცნიერო კავშირურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. ვ. აბაშიძემ მხარი დაუჭირა იმ წინადადებას, რომ რჩევა მიეცეს კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოახდინოს ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია.

თავმჯდომარემ დეპუტატმა ბ. ნ. პონომარიოვმა განხილვის შედეგების შეჯამებისას თქვა, რომ ხელშეკრულება ღირსშესანიშნავი ისტორიული ნიშანსვეტია ჩვენი ქვეყნების და ხალხთა ურთიერთობის განვითარებაში. ის აგვირგვინებს 20 წლის პერიოდს, როცა 1945 წლის ხელშეკრულების საფუძველზე საძირკველი ჩაეყარა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობას თანასწორუფლებიანობის, ძმური მეგობრობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების პრინციპებზე.

კომისიების განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტი ახალ ფურცელს იწყებს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში. იგი არა მარტო განამტკიცებს ჩვენს სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს, არამედ ასახავს ომისშემდგომ პერიოდში მომხდარ დიდ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს. ხელშეკრულება ხელმოწერილია იმ პირობებში, როცა პოლონეთში სოციალიზმმა გაიმარჯვა და იგი საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდა როგორც ძლიერი სოციალისტური სახელმწიფო. ეს, უდავოდ, ხელშეკრულებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

დოკუმენტი, რომელსაც განვიხილავთ, თქვა შემდეგ ბ. ნ. პონომარიოვმა, მოიცავს საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის ურთიერთდამოკიდებულების ყველა მხარეს. ის ითვალისწინებს ეკონომიური თანამშრომლობის გაღრმავებას, კულტურული კავშირის განმტკიცებას, ურთიერთ კონსულტაციებს საერთაშორისო პრობლემებზე და ორმხრივ დახმარებას და მხარდაჭერას იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ ჩვენს ქვეყანას თავს დაესხმიან დასავლეთ გერმანიის ან მის მოკავშირედ გამხდარი სხვა რომელიმე ქვეყნის მილიტარისტული ძალები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები ვერ შერიგებიან ომის შემდეგ დადგენილ საზღვრებს და აღვივებენ რევანშისტულ განწყობილებას. ხელშეკრულების დადება დამაჯერებელი და დროული დამამტკიცებელი საბუთია პოლონეთის ეროვნული სუვერენიტეტის ურყევობისა და ხელშეუხებლობისა, ის ნათელყოფს ოდერის და ნეისეს გასწვრივი საზღვრის ხელყოფის სრულ უსაფუძვლობას და ავანტიურიზმს.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ახალი კავშირი შემადგენელი ნაწილია უფრო ფართო თავდაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციისა — ვარშავის ხელშეკრულებისა, რომელიც სოციალიზმისა და ევროპის მშვიდობის ინტერესთა საგუშაგოზე დგას. ხელშეკრულება სავსებით შეესაბამება მის სულისკვეთებასა და მიზნებს, აგებულია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იმავე პრინციპებზე.

შემდეგ ბ. ნ. პონომარიოვი ამბობს, რომ ხელშეკრულება ხელმოწერილია იმ ვითარებაში, როდესაც ამერიკული იმპერიალიზმი, რომელიც განაგრძობს ინტერვენციას ვიეტნამში, გადავიდა აგრესიის დაუფარავ აქტზე სამხრეთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. ასეთ გამწვავებულ ვითარებაში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების დადება ერთხელ კიდევ ხაზს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსვამს ჩვენი ძმური ქვეყნების მტკიცე გადაწყვეტილებას შეაკავშიროს ... ანთი ძალები, იბრძოლონ კოლონიალიზმის წინააღმდეგ განუხრელად დაიცვან სოციალიზმის მონაპოვარი.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ახალი ხელშეკრულების ხელმოწერამ, თქვა დასასრულს ბ. ნ. პონომარიოვმა, საბჭოთა ხალხის მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა. ამ აქტმა მაღალი შეფასება მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, იგი მოიწონეს სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა და ყველა მშვიდობისმოყვარულმა სახელმწიფომ.

კომისიების წევრმა ყველა დეპუტატმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაციას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა მექსიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ხოსე ე. იტურიაგამ

15 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა კრემლში მიიღო მექსიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ხოსე ე. იტურიაგა, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ მეორე მდივანი ფ. ელიას-კალიესი, მესამე მდივნები ვ. მ. როდრიგესი და კ. ლაგუნასი.

ა. ი. მიქოიანმა და ხოსე ე. იტურიაგამ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

თავის სიტყვაში ხოსე ე. იტურიაგამ აღნიშნა, მექსიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს ხალხთა თვითგამორკვევის წმიდათა წმიდა პრინციპი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია შეიქმნას დაწესებულებანი, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება ამ ხალხთა თავისებურებებს და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებსო. შემდეგ ელჩმა თქვა, თვითეულ ხალხს უფლება აქვს აირჩიოს თავისთვის ის წყობილება, რომელიც მას უმჯობესად მიაჩნია, და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ორმოცი წლის წინათ მექსიკა იყო ახალი კონტინენტის პირველი ქვეყანა, რომელმაც მეგობრული ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთანო.

„ჩვენ აღფრთოვანებით და სიმპათიით ვეკიდებით საბჭოთა კავშირს, — თქვა ელჩმა, — ჩვენ მოწმენი ვიყავით მისი ხალხის გმირობისა, რომელმაც თავისი ბობოქარი ისტორიის მანძილზე, უაღრესად არახელსაყრელ გარემოებაშიც კი, შეძლო შეენარჩუნებინა განუმეორებელი თავისებურებანი. მექსიკის ხალხს, რომელმაც ამდენი ტანჯვა გადაიტანა, რომ მოეპოვებინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, და რომელიც დაუღალავად შრომობს თავისი მზარდი ეკონომიური დამოუკიდებლობის საკეთილდღეოდ, ხალხს, რომელმაც იგივე უკუღმართობანი განიცადა, რაც თქვენმა ხალხმა, ძალუძს დააფასოს თქვენი მამაცი ერი. ერთსაც და მეორესაც ძვირად უღირთ მშვიდობიანობა და დამოუკიდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა, როგორც ერთმანეთთან დაკავშირებული სიკეთენი, იმიტომ რომ განვვლეთ ესოდენი ტანჯვა და ესოდენი მეცადინეობა მოვანდომეთ ჩაგვრისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლას".

სიტყვის დასასრულს თავისი მთავრობის მეთაურის სახელით ელჩმა გულითადი სალამი და პირადი ბედნიერების სურვილები გადასცა ა. ი. მიქოიანს, აღუთქვა, რომ საბჭოთა კავშირში მოღვაწეობის დროს ის იხელმძღვანელებს გულწრფელი და მხურვალე მისწრაფებით, რაც შეიძლება უკეთ მიუხვდეს მძლავრ მეგობრულ ქვეყანას, რათა მიაღწიოს ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელ თანამშრომლობას.

საპასუხო სიტყვაში ა. ი. მიქოიანი მიესალმა ელჩს და კმაყოფილების გრძნობით მიიღო ელჩის სიტყვა.

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, თქვა ა. ი. მიქოიანმა, საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას სხვადასხვა სოციალისტური და პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა მიმართ. ყველა სახელმწიფო, დიდი თუ პატარა, თავის საგარეო პოლიტიკაში ამ პრინციპებით რომ ხელმძღვანელობდეს, მაშინ საყოველთაო მშვიდობა დღეს არ აღმოჩნდებოდა ასეთ განსაცდელში, ხოლო ხალხები, რომლებიც იბრძვიან უკეთესი მომავლისათვის, არ განიცდიდნენ ამდენ ტანჯვას სხვა სახელმწიფოთა აგრესიული მოქმედებისაგან.

მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ და ყოველთვის ახსოვთ ის, რომ ამერიკის კონტინენტზე მექსიკა იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც მეგობრული ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან. შარშან ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღნიშნეს საბჭოთა კავშირ-მექსიკის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 40 წლისთავი.

დასასრულს ა. ი. მიქოიანმა ელჩს მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხის მისამართით გამოთქმული გულთბილი სიტყვებისათვის. თავის მხრივ მან სთხოვა ელჩს აუვავებისა და კეთილდღეობის გულწრფელი სურვილები გადასცეს მეგობარ მექსიკელ ხალხს, აგრეთვე ჯანმრთელობისა და წარმატების სურვილები მათს აღმატებულობას ბატონ დიას ორდასს, მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და ხოსე ე. იტურიაგას შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ა. მალიკმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 24 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მედლებით დააჯილდოვა სამშენებლო, სამონტაჟო და სხვა ორგანიზაციათა 150 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „სიბმეტალურგმონტაჟის“ ნოვოკუზნეცკის სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი ს. ი. მეზენცევი, ტრესტ „კუზნეცკპრომსტროის“ № 11 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ვ. ს. პოლიაკოვი, ტრესტ „ვოსტოკგიდროსპეცსტროის“ ანტონოვსკის სამშენებლო სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე ა. ფ. სტარკოვი, ტრესტ „კუზნეცკპრომსტროის“ № 10 სამშენებლო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ა. ნ. სტეგნი და ტრესტ „კუზნეცკპრომსტროის“ № 1 სამშენებლო სამმართველოს ხუროთა ბრიგადირი ი. ნ. ფროლოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 16 კაცი, საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია — 41, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 40 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 48 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

*

* *

ქალაქ არხანგელსკში მდინარე სევერნაია დვინაზე ხიდის მშენებლობისას მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 24 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის და სხვა ორგანიზაციების 50 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომელთაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია № 6 ხიდების სამშენებლო ტრესტის № 9 ხიდების მშენებელი რაზმის უფროსი ბ. ა. ბეზრუკოვი და № 6 ხიდების სამშენებლო ტრესტის № 9 ხიდების მშენებელი რეზმის მემონტაჟეთა ბრიგადირი ა. ი. ტურკოვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 5 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 13, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 12 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 18 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

*

* *

მლღობი შპატის ვოზნესენსკის საბადოს აღმოჩენისა და დაზვერვისათვის, იაროსლავსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგის მშენებლობისა და ათვისებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1965 წლის 24 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა შორეული აღმოსავლეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს იაროსლავსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატისა და სხვა ორგანიზაციების 58 მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: „გლავვლადივოსტოკსტროის“ № 34 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირი ა. ა. ვორობიოვი, იაროსლავსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ამწყობი ზეინკალი ნ. ა. კოჩეტოვი, ზღვისპირეთის გეოლოგიური სამმართველოს იპოლიტოვკის ექსპედიციის ყოფილი მთავარი გეოლოგი მ. პ. მატერიკოვი და ტრესტ „დალტეხმონტაჟის“ ზღვისპირეთის სამონტაჟო სამმართველოს ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირი ა. ა. სტრუჩაევი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 9 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 16, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 15 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 14 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

*

* *

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-ბალტიის ზღვის წყალსავალი გზის მშენებლობის დროს მოპოვებული თვალსაჩინო საწარმოო წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის „ვოლგობალტსტროის“ მუშებს — № 418 სამშენებლო სამმართველოს კოშკური ამწის მემანქანეს ბ. პ. კლოჩევს და მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანეს ი. ვ. პუზირნის.

ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-ბალტიის ზღვის წყალსავალი გზის მშენებლობის დროს მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 29 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 348 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: „ვოლგობალტსტროის“ № 419 სამშენებლო სამმართველოს ხუროთა ბრიგადირი ა. პ. ბელიაევი, „ვოლგობალტსტროის“ მექანიზაციის სამმართველოს ამწის მემანქანე ი. ნ. ვოლკოვი, „ვოლგობალტსტროის“ ავტობაზის შოფერი ა. ვ. გლუპიშევი, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის „გლავმორრეჩსტროის“ უფროსი ს. ს. დემეშევი, ინსტიტუტ „გიდროპროექტის“ ლენინგრადის განყოფილების ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-ბალტიის ზღვის წყალსავალი გზის პროექტის მთავარი ინჟინერი გ. ა. კრილოვი, „ვოლგობალტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტროის“ ავტობაზის შოფრების ბრიგადირი ვ. ა. ლუშჩიკი, ტრესტ „ტრანსგიდრომეხანიზაციის“ № 478 სპეციალიზებული სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ა. ი. სამოილოვი და „ვოლგობალტსტროის“ № 420 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ა. ნ. ჩენცოვა.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 37 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 82, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 108 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 113 კაცი.

ბრძანებულებანი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

*

* *

სუოიარვი-იუშკოზეროს რკინიგზის ხაზის მშენებლობასა და მის გასწვრივ მდებარე ტყის მასივების ათვისებაში მოპოვებული შრომითი წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 3 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა მშენებლობის 50 მონაწილე, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 2 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 5, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 13, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 14 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 16 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმების შესახებ სასაზღვრო წყლების წყალთა მეურნეობაზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ, რომელთაც სურთ მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის სულისკვეთებით მოაწესრიგონ სასაზღვრო წყლების წყალთა მეურნეობის საკითხები და რომლებიც ითვალისწინებენ ურთიერთსარგებლიანობას ამ დარგში თანამშრომლობიდან, 1964 წლის 17 ივლისს ვარშავაში დადეს შეთანხმება სასაზღვრო წყლების წყალთა მეურნეობის შესახებ.

შეთანხმება რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1965 წლის 27 იანვარს; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ — 1964 წლის 19 ოქტომბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1965 წლის 16 თებერვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმება ძალაში შევიდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომენტიდან.

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში" (№ 17, 1965 წლის 28 აპრილი).

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

რ ს ფ ს რ

რაიონების შექმნა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით კიროვის ოლქში შექმნა შემდეგი რაიონები:

არბაჟისა, რომლის ცენტრია სოფელი **არბაჟი**.

ბოგოროდსკოესი, რომლის ცენტრია სოფელი **ბოგოროდსკოე**;

კიკნურისა, რომლის ცენტრია სოფელი **კიკნური**;

ლებიაჟიესი, რომლის ცენტრია სოფელი **ლებიაჟიე**;

სვეჩისა, რომლის ცენტრია მუშათა ახალშენი **სვეჩა**.

უკრაინის სსრ

სოფლების მიკუთვნება დაბების კატეგორიისათვის

ჩერკასკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა 1965 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით დაბების კატეგორიას მიაკუთვნა შემდეგი სოფლები — რაიონული ცენტრები:

დრაბოვის რაიონის დრაბოვი;

ლისიანკის რაიონის ლისიანკა;

მანკოვკის რაიონის მანკოვკა;

ჩერნობაის რაიონის ჩერნობაი.

მოლდავეთის სსრ

სოფელ კაუშანის მიკუთვნება რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიისათვის

მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 7 აპრილის ბრძანებულებით კაუშანის რაიონის სოფელი კაუშანი მიაკუთვნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლების მიკუთვნება დაბების კატეგორიისათვის

მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 7 აპრილის ბრძანებულებით დაბების კატეგორიას მიაკუთვნა შემდეგი სოფლები:

ვულკანეშთი ვულკანეშთის რაიონისა;

ახალი ანენი ახალი ანენის რაიონისა;

სტრაშენი სტრაშენის რაიონისა;

სინჟერეა ლაზოვსკის რაიონისა, რომელსაც მიენიჭა სახელწოდება — დაბა **ლაზოვსკი;**

ჩიმიშლია ჩიმიშლიის რაიონისა.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

240 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე, 273-ე და 275-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის მე-9, მე-19 და 21-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 26 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 263-ე, 273-ე და 275-ე მუხლებში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. 263-ე მუხლს „თვითნებური წასვლა“ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ პუნქტი:

„დ) ამ მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა შემამსუბუქებელ გარემოებაში, —

იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას“.

2. 273-ე მუხლის „საყარაულო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა“ „ა“, „გ“ და „დ“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) საყარაულო (სავახტო) სამსახურის საწესდებო წესების და ამ წესების გასავითარებლად გამოცემულ ბრძანებათა და განკარგულებათა დარღვევა, ჩადენილი საბრძოლო მასალების, იარაღის, საბრძოლო ტექნიკის საწყობების ან სხვა მნიშვნელოვან ობიექტების დაცვის ყარაულში და საგუშაგოებზე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან სამ წლამდე“.

„გ) სადარაჯო ან საბადრაგო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა მავნე შედეგები, რომელთა თავიდან ასაცილებლად დანიშნულია სადარაჯო ყარაული (საგუშაგო) ან ბადრაგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი წლიდან ხუთ წლამდე ან დისციპლინურ ბატალიონში გაგზავნით ვადით სამი თვიდან ორ წლამდე“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დ) ამ მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე“.

3. 275-ე მუხლის სახელწოდება და ამავე მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 275. **საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა**

ა) სსრ კავშირის სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობის დასაცავად, ან საბჭოთა კავშირზე მოულოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად დაცვის საბრძოლო მორიგეობის შესრულების წესების დარღვევა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც შედის საბრძოლო ჯგუფეულის ეკიპაჟის, საგუშაგოს ან სხვა სამორიგეო ქვეგანაყოფის შემადგენლობის სამორიგეო ცვლაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი წლიდან ხუთ წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 28 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

241 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, დასახლებული პუნქტების, ქუჩების, საწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების და ორგანიზაციებისათვის სახელწოდების მიკუთვნების და შეცვლის წესის შესახებ

„მხარეებისა, ოლქებისა, რაიონებისა, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისა, კოლმეურნეობებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელწოდების მიკუთვნების და შეცვლის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად, გამომდინარე იმ პრინციპებიდან, რომლებიც დადგენილია „მხარეებისათვის, ოლქებისათვის, რაიონებისათვის, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისათვის, კოლმეურნეობებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის სახელების მიკუთვნების საქმის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. რაიონებს, აგრეთვე ქალაქებს, დაბებს, სოფლებს და სხვა დასახლებულ პუნქტებს სახელწოდებას მიაკუთვნებს და შეუცვლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

რაიონების, ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის სახელწოდების მიკუთვნება და შეცვლა ხდება ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების წარდგინებით და საქართველოს სსრ მშრომელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების საოლქო, რაიონული და რესპუბლიკური დაქვემდებარ[illegible]ლაქთა საქალაქო საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობებით.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტებისათვის სახელწოდების მიკუთვნებისა და შეცვლისას არ დაიშვება უკვე არსებული სახელწოდების მიკუთვნება.

იმ დასახლებული პუნქტების სახელწოდების შეცვლა, სადაც განლაგებულია ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებანი ან რკინიგზის სადგურები, ხდება შესაბამისად სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ან სსრ კავშირის გზათა სამინისტროს წინასწარ შეტყობინებით.

2. საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და სხვა ობიექტებს სახელწოდებას მიაკუთვნებს და შეუცვლის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგინებით შესაბამის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების საერთო კრებების შუამდგომლობის შემდეგ.

ადგილობრივი დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და სხვა ობიექტებს სახელწოდებას მიაკუთვნებს და შეუცვლის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საერთო საკავშირო დაქვემდებარების სახელმწიფო საწარმოების, რკინიგზის სადგურების, საზღვაო ნავსადგურების, აეროპორტების, დაწესებულებებების, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტების, აგრეთვე ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტების სახელწოდების მიკუთვნება და შეცვლა ხდება, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 სექტემბრის დადგენილებისა, სს რკავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

3. კოლმეურნეობებს და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციებს სახელწოდებას მიაკუთვნებენ და შეუცვლიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წარდგინებით ამ ორგანიზაციების წევრთა საერთო კრებების შუამდგომლობის შემდეგ.

4. დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე განლაგებულ პროსპექტებს, ქუჩებს, მოედნებს, შესახვევებს, სკვერებს, პარკებს, ხიდებს და სხვა ნაგებობებს სახელწოდებას მიაკუთვნებს და შეუცვლის მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად რაიონების, სასოფლო და სადაბო საბჭოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის, ქუჩებისა და მოედნებისათვის, საწარმოებისა, კოლმეურნეობებისა, დაწესებულებებისა, სასწავლებლებისა და ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა სახელების მიკუთვნება მათს სიცოცხლეში დაუშვებელია.

6. ამ ბრძანებულების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საჭირო ცვლილებანი „საქართველოს სს რესპუბლიკაში დასახლებული პუნქტების რეგისტრაციის, სახელწოდებისა და აღრიცხვის მოწესრიგების დებულებაში“ და ამ დებულების 2-ე პუნქტის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ახლად წარმოქმნილი დასახლებული პუნქტების რეგისტრაციას ახდენენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო ამ დასახლებულ პუნქტებს სახელწოდებას მიაკუთვნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების წარდგინებით და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შუამდგომლობით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 28 აპრილი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

242 ხაშურის და სამტრედიის რაიონებში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ხაშურისა და სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ამხ. ამხ. ი. გოგოლაძის და ა. მანჯგალაძის მოხსენებები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, აღნიშნავს, რომ აღმასკომის მიერ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული მოსახლეობის სამრეწველო და სასურსათო საქონლით უზრუნველსაყოფად, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა ჩატარებული სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტების გაფართოებისა, მათი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვისა და კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაშურის რაიონში უკანასკნელ წლებში სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტების რიცხვი გაიზარდა 49 ერთეულით. ასეთივე მდგომარეობაა სამტრედიის რაიონშიც.

გაიზარდა სპეციალიზებულ სავაჭრო საწარმოთა რიცხვი, რიგ მაღაზიებში დანერგილია ვაჭრობის პროგრესული ფორმები — თვითმომსახურება, შეკვეთით ვაჭრობა და სხვ.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების განვითარების დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირი, ხაშურისა და სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები სრულყოფილად არ იყენებენ ადგილობრივ რეზერვებს და შესაძლებლობებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისათვის.

1964 წლის საქონელბრუნვის გეგმა ხაშურის რაიონში შესრულებული იქნა 95,6 პროცენტით, საქონელბრუნვის 1964 წლის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩება საქვაჭრობის ხაშურის განყოფილება. 1965 წლის პირველი კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა რაიონის სავაჭრო ორგანიზაციებმა 95,1 პროცენტით შეასრულეს. გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზად უნდა იქნეს მიჩნეული ის, რომ ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები არასაკმაოდ სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს საქონელზე, ყოველთვის არ იჩენენ მომთხოვნელობას სამრეწველო საწარმოებისადმი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქონლის ასორტიმენტი, ხარისხი და გეგმიური საქონლის დროულად შემოტანა.

საქვაჭრობის სამტრედიის განყოფილებამ 1964 წელში სავაჭრო ქსელში შეზიდა ისეთი შეკერილი ნაწარმი, რომლის ქსოვილები და ფასონი მოხსნილი იყო წარმოებიდან.

ხაშურისა და სამტრედიის რაიონებში საქონელბრუნვის გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია გამოყოფილი სასაქონლო ფონდების აუთვისებლობით.

სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებსა და საცალო ქსელში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ზენორმატული საქონლის ნაშთები. მაგალითად, ხაშურის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციას მიმდინარე წლის პირველი აპრილისათვის გეგმით უნდა ჰქონოდა 1.561 მანეთის საქონელი, ფაქტიურად ჰქონდა 2.070 ათასი მანეთის, ხოლო საქვაჭრობის ხაშურის განყოფილებას ნაცვლად 1.038 ათასი მანეთისა, 1.703 ათასი მანეთის საქონელი აქვს. სამტრედიის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციას ზენორმატიული ნაშთი აქვს 880 ათასი მანეთის, ხოლო საქვაჭრობის სამტრედიის განყოფილებას — 1180 ათასი მანეთის საქონელი.

სოფლის ბევრ მაღაზიას არა აქვს სამრეწველო და სასურსათო საქონლის სავალდებულო ასორტიმენტი. ხაშურის რაიონის სოფელ გომის სასურსათო მაღაზიას გაყიდვაში არ ჰქონდა მაკარონი, ღვინო, არაყი, ლიმონათი, ბრინჯი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებეხვეული, სარეცხი საპონი, სამეურნეო საქონლის მაღაზიას — ლამპები, ...
ქურები, იაფფასიანი ჭურჭელი და ა. შ. ამავე სოფლის სახინკლე-სამწვადეში 23 აპრილს გაყიდვაში არ იყო არც ერთი სახის სასმელი და არავითარი კერძი არ დამზადებულა.

ხაშურისა და სამტრედიის რაიონების საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ჯერ კიდევ არ არის დაცული საბუფეტო პროდუქციის და სამზარეულო კერძების ასორტიმენტი.

სოფლის მოსახლეობისათვის ხორცისა და რძის პროდუქტების მიყიდვას ხელს უშლის სამაცივრო მეურნეობის უქონლობა.

საქვაჭრობის სასურსათო მაღაზიების უმრავლესობა ერთ ცვლაში მუშაობს, რაც იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას.

ბევრი მაღაზია და სასადილო მოთავსებულია დაქირავებულ და შეუფერებელ ბინებში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საქონლის ხარისხზე და მის რეალიზაციაზე. ხაშურის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის 29 მაღაზია და სასადილო მოთავსებულია დაქირავებულ, მოუწყობელ ბინებში, ხოლო სამტრედიის რაიონში — 43.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ზომა-წონაში მოტყუება, სახელმწიფო და კოოპერატიული ქონების გაფლანგვა-გატაცება. 1964 წელს სამტრედიის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციაში გამოვლინებულ იქნა ვაჭრობის წესების დარღვევის 165 შემთხვევა, ხოლო საქვაჭრობის სამტრედიის განყოფილებაში 435, ხაშურის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციაში — 37, საქვაჭრობის ხაშურის განყოფილებაში — 65.

საჭირო ყურადღება არ ეთმობა კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეს.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმითაც, რომ ხაშურისა და სამტრედიის რაიონების ადგილობრივი საბჭოები ჯერ კიდევ ნაკლებ დახმარებას უწევენ სავაჭრო ორგანიზაციებს, არ აკონტროლებენ მათ მუშაობას. არასაკმარისია დეპუტატების, ვაჭრობის მუდმივი კომისიების და აქტივის მონაწილეობა, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში. სესიების და აღმასკომის სხდომებზე არარეგულარულად იხილავენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის საკითხებს და საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებენ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირს, სამტრედიისა და ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მიიღონ საჭირო ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ვაჭრობის დონის ამაღლების, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელის შემდგომი გაფართოებისა და მათი მუშაობის ძირეულად გაუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯობესების გზით მიაღწიონ მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;

ბ) უზრუნველყონ მაღაზიების, სასადილოების, საწყობების, მაცივრების, ხილბოსტნეულის და კარტოფილის შესანახების მშენებლობა და მათი გადაცემა დანიშნულებისამებრ დადგენილ ვადებში, გააფართოონ სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ქსოვილების, ავეჯისა და სხვა საქონლისათვის;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივი კვების განვითარებას, კერძების ხარისხის ამაღლებას და მისი ასორტიმენტის გაფართოებას;

დ) დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ საქონელბრუნვის გეგმების შესრულება. გაატარონ საჭირო ღონისძიებანი დამატებითი სასაქონლო რესურსების გამოძებნის და გამოყენებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალაქებისა და რაიონების განაპირა დასახლებულ ადგილებში სავაჭრო ობიექტების მოწყობის საქმეს.

2. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა უახლოეს დროში გაარკვიონ მიზეზები სამტრედიისა და ხაშურის რაიონებისათვის გამოყოფილი სასაქონლო ფონდების აუთვისებლობისა და ამ რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებში და საწყობებში ზენორმატული ნაშთების არსებობისა და დასახონ ღონისძიებანი ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

3. დაევალოს კავშირგაბმულობის სამინისტროს, ცეკავშირს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს მიიღონ საჭირო ზომები ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნების, ტელევიზორების, რადიომიმღებების, მაცივრების და სხვათა შესაკეთებელი სახელოსნოების ქსელის გაფართოებისათვის და უზრუნველყონ ისინი საჭირო რაოდენობის დამხმარე ნაწილებითა და მასალებით.

4. დაევალოს სამტრედიისა და ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. რეგულარულად განიხილონ სესიებისა და აღმასკომის სხდომებზე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 28 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

243 არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის მიერ გარკვეული მუშაობაა გაწეული არასრულწლოვანთა უზედამხედველობის აღმოსაფხვრელად.

რესპუბლიკური კომისიის ყურადღების ცენტრშია ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, ავტონომიური ოლქის საბჭოსთან და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების საქმიანობა. რესპუბლიკური კომისია კონტროლს უწევს და წარმართავს მისდამი დაქვემდებარებულ კომისიების საქმიანობას, პერიოდულად ამოწმებს მათ მუშაობას, განიხილავს თავის სხდომებზე და ღებულობს სათანადო გადაწყვეტილებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. რესპუბლიკური კომისიის მიერ მნიშვნელოვანი ზომებია მიღებული სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვისა და სწავლებაში მათი ჩაბმისათვის და სხვ.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ბავშვთა უზედამხედველობის შემთხვევები. ამ მხრივ აღსანიშნავია აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, ქუთაისის, ტყიბულის საქალაქო და მესტიის, თეთრიწყაროს, ყაზბეგის, ქ. თბილისის კიროვის რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული არასრულწლოვანთა კომისიების მუშაობა.

ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობასთან ბრძოლის საქმეს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა; მათ მჭიდრო კავშირი არა აქვთ დამყარებული მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივ კომისიებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, მშობელთა კომიტეტებთან, მზრუნველთა საბჭოებთან, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებთან, რის შედეგად ნაკლები ყურადღება ექცევა ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის საკითხებს. არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებმა ვერ მიაღწიეს ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში საზოგადოებრიობის ფართო აქტივის ჩაბმას.

კომისიები ნაკლებად იჩენენ საკუთარ ინიციატივას იმ ბავშვებისა და მოზარდების გამოსავლინებლად, რომლებსაც ესაჭიროებათ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დახმარება, არ ყავთ აღრიცხული უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და სხვ.

ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა მშობლებისა და სახალხო განათლების მუშაკების მიერ ბავშვთა აღზრდისა და სწავლების საქმეს ოჯახსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლაში. არადამაკმაყოფილებელია პედაგოგებისა და მშობლების ერთობლივი ბრძოლა მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები და განათლების ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ზუსტად აღრიცხვასა და სწავლებაში მათ უკლებლივ ჩაბმა-შენარჩუნებას, სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გაუმჯობესებას, ამის შედეგია ის, რომ 1964 წლის 1 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში სკოლის გარეშე იყო დარჩენილი 14-17 წლის ასაკის ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი რაოდენობა.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად აწარმოებენ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ მუშაობას ბავშვთა უმეთვალყურეობის აღსაკვეთად, არ სწავლობენ მის გამომწვევ მიზეზებს. სუსტი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად არასრულწლოვანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცუდ ყოფაქცევას იჩენს.

არასრულწლოვანთა უზედამხედველობის წინააღმდეგ სუსტად იბრძვიან აფხაზეთის ასსრ-ში, ქ. ფოთში, სიღნაღის, ხაშურის, ცხაკაიას, ქ. თბილისის 26 კომისრისა და ორჯონიკიძის სახელობის რაიონებში.

არასრულწლოვანთა საქმეების მთელი რიგი კომისიები ასევე არადამაკმაყოფილებელ მუშაობას ეწევა იმ არასრულწლოვანთა შორის, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან პირობით ან დაბრუნდნენ ბავშვთა შრომით ან აღმზრდელობით კოლონიებიდან და არ ზრუნავენ სამუშაოზე ან სასწავლებლებში მათ მოსაწყობად. უფრო მეტიც, ზოგიერთ მათგანს არც ჰყავს აღრიცხული ასეთი ბავშვები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საკმარისად არ მიაჩნია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და მათთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების როლი ბავშვთა და მოზარდთა უმეთვალყურეობის აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკურ კომისიას გააუმჯობესოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებისადმი კონტროლი და ხელმძღვანელობა, რისთვისაც:

ა) შეიმუშაოს და განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის თავიდან ასაცილებლად, ბავშვთა და მოზარდთა მოსაწყობად;

ბ) გაზარდოს მომთხოვნელობა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების ცხოვრებაში სრულყოფილად გატარებისათვის; პრაქტიკული დახმარების მიზნით პერიოდულად მოაწყოს კომისიის თავმჯდომარეებისათვის თათბირ-სემინარი; განაზოგადოს და ფართოდ გაავრცელოს მათი მუშაობის დადებითი გამოცდილება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სამინისტროებთან, უწყებებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საქმიანი კოორდინაციის გაძლიერებით მიიღოს საჭირო ზომები არასრულწლოვანთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გადაჭრით გააუმჯობესონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობა, მიაღწიონ არასრულწლოვანთა უზედამხედველობის სრულ აღმოფხვრას, რისთვისაც:

ა) გააძლიერონ კონტროლი არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების საქმიანობისადმი; პერიოდულად მოისმინონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების ანგარიში მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა შორის ჩატარებული მუშაობის შესახებ;

ბ) არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩააბან ფართო საზოგადოებრიობა და გააქტიურონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა;

გ) არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის ძირეულად გაუმჯობესების მიზნით არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან შექმნან საზოგადოებრივი ინსპექტორების ფართო ქსელი პენსიონერებისაგან, კერძოდ, პედაგოგებისა, ექიმებისა, იურისტებისა და ისეთი პირებისაგან, რომლებსაც აქვთ ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის გამოცდილება.

აქტიურად ჩააბან მათ საქმიანობაში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების, წარმოება-დაწესებულებების პასუხისმგებელი მუშაკები, ფართოდ დანერგონ საზოგადოებრივი ინსპექტორების მუშაობის დადებითი გამოცდილება;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვებთან და მოზარდებთან სკოლის გარეშე მუშაობის გაუმჯობესებას; ამ მიზნით უზრუნველყონ სპეციალური ბავშვთა ოთახების გამოყოფა დიდ საცხოვრებელ სახლებში, ეზოებში, ბაღებსა და სკვერებში, სპორტული მოედნებისა და ბავშვთა სათამაშო ადგილების მოწყობა;

ე) მკვეთრად გააძლიერონ მუშაობა აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან; უზრუნველყონ სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და ბავშვთა სახლებში, აგრეთვე სკოლის გარეთ მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცება და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება; დააზუსტონ სკოლებიდან განთესილ და გარიცხულ ბავშვთა რაოდენობა და ჩააბან ისინი სწავლებაში; გულდასმით შეისწავლონ და პედაგოგიური კოლექტივებისა და მშრომელთა აქტივის მსჯელობის საგნად გახადონ მოსწავლეთა განთესისა და გარიცხვის გამომწვევი მიზეზები და ყოველგვარი ღონისძიება გაატარონ განთესილ ბავშვთა სკოლებსა და საწარმოებში დასაბრუნებლად;

ვ) სპეციალურ აღრიცხვაზე აიყვანონ ბავშვთა აღმზრდელობითი და შრომითი კოლონიებიდან, სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნებული არასრულწლოვანები, აგრეთვე ის არასრულწლოვანები, რომლებიც მსჯავრდებული არიან პირობით ან დადებული აქვთ სასჯელი ისეთი ქმედობისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ ყოფაქცევას და უზრუნველყონ მათი შრომითი მოწყობა და სასწავლებელში გაგზავნა;

ზ) მშობელთა შორის მუშაობის გაძლიერებისა და მათი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით პერიოდულად განიხილონ იმ მშობელთა საკითხი, რომლებიც მზრუნველობას არ იჩენენ და ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ თავიანთ ბავშვთა აღზრდას, და მიიღონ მათ მიმართ ადმინისტრაციული ზომები; აგრეთვე ფართოდ გაშალონ და განავითარონ მშობელთა სახალხო უნივერსიტეტების, მშობელთა ლექტორიუმების, მშობელთა ღირსების სამსჯავროების, ბავშვთა და მოზარდთა შორის მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობა.

3. საქართველოს სსრ პროკურატურამ, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ გააძლიერონ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი მუშაობა არასრულწლოვანთა მიერ სამართლის დარღვევათა თავიდან ასაცილებლად; განამტკიცონ თავიანთი ადგილობრივი ორგანოების კავშირი არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან და მათი საშუალებით უზრუნველყონ ამ კომისიებისადმი პრაქტიკული დახმარება.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიიღოს სათანადო ზომები ყველა ბავშვისა და მოზარდის ჩასაბმელად ზოგადსაგანმანათლებლო სწავლაში, მკვეთრად გააუმჯობესოს მოსწავლეებთან როგორც სასკოლო, ისე სკოლისგარეშე მუშაობა; დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცებისა და მათი აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად.

5. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოსმენილ იქნეს უახლოეს დროში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე რესპუბლიკაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 28 აპრილი.

განკოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

244 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე ილარიონის ძე **მურუსიძე** — მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის სახლმმართველი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 28 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

245 ამხანაგ შ. მ. პირველისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს შოთა მიხეილის ძე **პირველს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

246 ამხ. ე. ტ. ლილუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ახალციხის რაიონის მოხის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ერთაოზ ტარასის ძე **ლილუაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

247 ამხ. ი. ბ. ჩომახაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თეთრიწყაროს რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონის სოფელ ასურეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ივანე გიორგის ძე **ჩომახაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

248 ამხ. დ. რ. ფანცხავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჩაის მრეწველობის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით ჩაის მრეწველობის საკავშირო საკვლეო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი ამხ. დავით რომანის ძე **ფანცხავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

249 საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება:

1. გიორგი მიხეილის ძე **ბადრიშვილს** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსს, პროფესორს.

2. ანატოლ პავლეს ძე **კიზირიას** — საქართველოს ზოოვეტერინარული სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

250 ამხ. მ. ს. დალაქიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. მიხეილ სვიმონის ძე **დალაქიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 29 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

251 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ლ. ი. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბიოლოგიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლევან ივანეს ძე **ჯაფარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

252 დრამატურგ ვ. ბ. პატარაიასათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული თეატრალური და საესტრადო ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით დრამატურგს ვასილ ბათლომეს ძე **პატარაიას** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

253 კომპოზიტორ ლ. პ. ფალიაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს, კომპოზიტორ ლევან პეტრეს ძე **ფალიაშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

254 ამხ. ბ. ს. თედეევისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ოსური საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის სამხრეთ-ოსეთის სიმღერის და ცეკვის ანსამბლ „სიმდის" სამხატვრო ხელმძღვანელს გიორგი სარდიონის ძე **თედეევს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

255 ამხ. ე. ი. გურევიჩისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს ემილ იაკობის ძე **გურევიჩს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 30 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

256 პროფესორ დ. გ. მამამთავრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიული კათედრის გამგე პროფესორი დავით გრიგოლის ძე **მამამთავრიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 5 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

257 პროფესორ ა. გ. ნუცუბიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ეკონომიური მეცნიერების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს პროფესორ აპოლონ გაბრიელის ძე **ნუცუბიძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1965 წლის 5 მაისი.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით დააჯილდოვა 288 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან . . . . . — 41
ქ. გორიდან . . . . . — 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომის	რაიონიდან	— 3
გორის	„	— 24
გურჯაანის	„	— 4
დმანისის	„	— 56
დუშეთის	„	— 5
თერჯოლის	„	— 11
მაიაკოვსკის	„	— 21
მესტიის	„	— 17
ონის	„	— 8
ყაზბეგის	„	— 7
ყვარლის	„	— 12
ცაგერის	„	— 4
წალკის	„	— 6